# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №36-2

**2024 წლის 23 იანვარი**

**ქ. თბილისი**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/10/2023წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.017140) და დადგენილებით დამტკიცებულის წესის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება სააგენტოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ მომსახურების გაწევისას, როდესაც ისინი თავად ახორციელებენ სამუშაოებს, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის მონტაჟისთვის გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების დროს გაწეულ მომსახურებაზე.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**